1-ს ივნისს № 11. 1885 წელსა.

# მწყემსი

ოფიციალური ნაწილი.

## ანგარიში

**«ძმობისა» თბილისის მართლ-მადიდებელი სასულიერო სემინარიისა $188^{3}/_{4}$ «ძმობის» წლისა და შემდეგი დროისა 1 მაისამდის 1885 წლისა.**

30 ნოემბერს 1884 წელსა შესრულდა ოთხი წელი თბილისის სასულიერო სემინარიის «ძმობის» არსებობისა, რომელიც (ძმობა) დაარსდა 1880 წელში, 30 ნოემბერს სემინარიის ღარიბი მოწაფეების შესაწევნელად. ბევრი კეთილ-მნებლობითი შემწირველნი და მსურველნი სასულიერო განათლებისა გულმხურვალეთ შეეგებნენ და ეგებებიან «ძმობის» საქმეს, ამ ნაირად იკრიბება «ძმობის» საშუალებანი და შესაძლებელი ხდება შემწეობა მიეცეს არა ერთ ღარიბ ახალ-გაზდას სწავლის მიღებისათვის. ამ წელში «ძმობის» გამგებელი კამიტეტი განსაკუთრებით გულითადი მადლობელია მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის პავლესი, საქართველოს ექსარხოსისა, მისი ყოვლად უსამღვდელოესობის გაბრიელისა, იმერეთის ეპისკოპოსის და უგანათლებულესი მთავარ-მართებლისა იმ ყურადღებისათვის, რომელიც მათ მიაქციეს სემინარიის ღარიბ მოწაფეთა გაჭირვებულ მდგომარეობას. ამასთანავე გამგებელი კომიტეტი «ძმობისა» გულითად მადლობას უძღვნის სემინარიის უღარიბეს მოწაფეთა სახელობით მთელს ქართლის და იმერეთის ეპარხიათა სამღვდელოებას, რომელმაც ამ კეთილ საქმეს აღმოუჩინა დიდი შემწეობა თავისი შეწირულებაებით. სხვათა შორის «ძმობის» სასარგებლოდ შემოწირა იმერეთის ეპარქიის სოფლის ძველითის წმიდა ვარვარის ეკკლესიის მღვდელმა იესე ხუსკივაძემ ასი მანათი და განსაკუთრებით «ძმობის» სასარგებლოდ ბევრი ფული შეჰკრიბა გაზეთის «მწყემსის» რედაქტორმა ბლაღოჩინმა მღვდელმა დავით ღამბაშიძემ. ამასთანავე იდგინება სია ქველის მოქმედთა და «ძმობის» წევრთა $188^{3}/_{4}$ «ძმობის» საანგარიშო წლისა «ძმობის» მუდმივი და საპატიო წევრების დასახელებით. *)

*) «ძმობის» წესდების მეექვსე პარაგრაფის ძალით პირნი, რომელთაც ერთ დროებითად შემოიტანეს «ძმობის» სასარგებლოდ არა ნაკლებ 50 მანათისა, ირიცხებიან საზოგადოების საპატიო წევრებად, შემომტანელნი წელში არა ნაკლებ 5 მანათისა— ნამდვილ წევრებად «ძმობისა;» სხვა კეთილ მნებლობითი შემომწირველნი «ძმობისა» იწოდებიან წევრებად—მიმბაძველად,

მუდმივი და საპატიო წევრნი «ძმობისა:»

პავლე, არქიეპისკოპოსი, ექსარხოსი საქართველოისა, მთავრველი «ძმობისა,» რომელმაც ეხლა კიდევ შემოსწირა «ძმობას» 100 მანეთი,

იოანიკე, მოსკოვის მიტროპოლიტი,

თავადი ალექსანდრე მიხაილისძე დონდუკოვ-კორსაკოვი 100 მანათი.

კირილე პეტრესძე იანოვსკი, მზრუნველი კავკასიის სამასწავლებო ოლქისა 50 მან.

ალექსანდრე, გორის ეპისკოპოსი,

ვიქტორინი, ეპისკოპოსი პოდოლიისა (გარდაცვალებ.),

მისაილი, მოჟაისკის ეპისკოპოსი, მოსკოვის ვიკარი,

მაკარი არქიმანდრიტი, რომელმაც შემოსწირა კიდევ ხუთი მანათი, გრიგორი არქიმანდრიტი, რომელმაც შემოსწირა კიდევ 25 მანათი, კესარიოს არქიმადრიტი, რომელმაც შემოსწირა კიდევ 10 მანეთი, (წევრნი საქართველოს იმერეთის სინოდალნი კანტორისა.),

სტეფანე ღუმილევსკი, დეკანოზი, უმთვროსი მღვდელი კავკასიის ჯარისა.

პავლე ჩუდეცკი, დეკანოზი, სემინარიის რექტორი,

ესევი, ღვდელ-მონოზანი, წინამძღვარი სადესპანო ეკლესიისა ტეგერანში, რომელმაც შემოიტანა კიდევ 25 მანათი.

სოლომონ ელიოზოვი, მღვდელი თბილისის ნიკოლოზის ეკკლესიისა, რომელმაც კიდევ შემოწირა 10 მანათი, იმერეთის ეპარქიის მღვდელი ი. ხუსკივაძე, რომელმაც შემოსწირა 100 მ., პარასკოვ ი. ა. ვაჭარი, ქართველოვი გ. დ. ვაჭარი, შემომწირველი კიდევ 20 მანათისა. ძმობის ნამდვილნი წევრნი და სხვანი შემომწირველნი: ყოვლად სამღვდელო გაბრიელი, იმერეთის ეპისკოპოსი 10 მ., ანდრეევი ე. ტ. პროკურორი სინოდალნი კანტორისა, 10 მ., სტეპანოვი ი. ს. ინსპექტორი სემინარიისა 5 მ.

სემინარიის მასწავლებელნი:

ლორტინსკი ი. მ. 5 მ., ალბოვი ა. პ. 5 მ., ღოლჟანსკი ფ. ი. 5 მ., პოტოცკი პ. ს. 5 მ., ნიკიფოროვი ი. ა. პოლკოვნიკი 6 მ., ბალუეკი ი. ვ. ნადვორნი სოვეტნიკი 10 მ., ვახრუმეევი ფ. (ქ. ქუთაისიდგან) 20 მ.

### დეკანოზები:

ამნაძე 5 მ., პავლიევი 5 მ., არდაზიანი 5 მ., ალაპიევი პ. 5 მ., ხელიძე ზ. 3 მ., უტნელოვი ა. 2 მ.

### მღვდლები:

პეტრიევი 5 მ., გურგენიძე დ. 5 მ., ზედგენიძე ვ. 5 მ., ბალუევი ალ. 5 მ., გერასიმე ხუსკივაძე 5 მ., ა. ბერაძე 5 მ., დ. ღამბაშიძე 5 მ., ლეონტი მაჭავარიანი 5 მ., დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ცაგარელი 5 მ., ნ. პ. სობოლშიკოვი 5 მ., საბოლევ ზ. ი. 5 მ., პაშკევიჩი ს. ვ. 3 მ., პიშკინი ი. არხანგელის გუბერნიის გლეხი 10 მ., მოწამეთის მონასტრის წინამძღვარი ბესარიონი მონასტრის ძმობით 24 მ. 80 კ.. ბლაღ. მღვ. იოსებ ჭეიშვილი (სხვა და სხვა პირთაგან) 14 მ. 55 კ., ბლაღ. მღვ. ი. ქიკაჩეიშვილი 4 მ. 70 კ. (სხვა და სხვა პირებისაგან), მ. მჭედლიძე (სხვა პირებთან ერთად) 18 მ. 15 კ., ს. ყიფშიძე 1 მ., მღვ. ი. ოქროპირიძე 1 მ., მღვ. ოქროპირიძე 40 კ., მღვ. ი. ქოხოვ 30 კ., მღვ. ზ. ქეცხოველი 20 კ., მღვ. გ. ინდუევ 40 კ., მღვ. დ. გამრეკელოვ 40 კ., მღვ. ო. ბახტაძე 30 კ., მღვ. ა. ბასიევ 30 კ., მღვ. ა. დავიდოვი 50 კ., მღვ. დ. ქოჭლაძე 5 მ., მღვ. ბესარიონ სამადოვი 1 მ., მღვ. ა. მოლოდინოვი 1 მ., მღვ. ა. კავკასიძე 3 მ., მღვ. დ. გულაბოვი 5 მ., მღვ. დ. გურგენიძე 2 მ., მღვ. ზ. გრიგორიევი 2 მ., მღვ. ა. ბარნოვი 2 მ., მღვ. მ. მელოტაური 2 მ., ა. ზუმბულაძე 1 მ., მღვ. გ. სოფრომაძე 1 მ., მთავარ-დიაკონი ქ. ცარიკოვსკი 1 მ., თბილისის მეტეხის ციხის მღვ. ი. ლომაური 5 მ., მღვ. დ. გველესიანი (ბლაღ. მღვ. დ. ღამბაშიძის ხელით) 5 მ., ბლაღ. მღვ. ი. გერსამია (სხვა და სხვა პირებისაგან) 12 მ. 86 კ., ბლაღ. მღვ. ი. ხარიტონოვი 5 მ., მღვ. გ. ციბალოვი 3 მ., მღვ. ი. მრევლოვი 2 მ., მღვ. მ. რობიტოვ 1 მ., მღვ. ნ. მაჭავარიანი 1 მ., მღვ. ი. ახალშენოვი 1 მ., მღვ. ი. მატატოვი 1 მ., მღვ. ს. ბერიტოვი 1 მ., მღვ. პ. მლიზბაროვი 1 მ., მღვ. ო. მპიტოვი 1 მ., მღვ. ხ. ბოდერზოვი 30 კ. მთავარ-დიაკონი ი. ბიაევი 40 კ., ორი პრიჩეტნიკი ბლაღოჩინის ხარიტონოვის საბლაღოჩინოდამ 30 კ. ბლაღ. მღვ. ე. ალიაძე 5 მ., დეკანოზი ლ. სახტაროვი 2 მ. დეკანოზი დ. იოანნოვი 3 მ., დეკანოზი ზ. ქრამლიადასი 3 მ., მღვ. ს. დავიდოვი 2 მ., მღვ. ა. ქარიაკოვი 2 მ., მღვ. ლ. მიხაილოვი 1 მ., დეკ. ს. იკონომიდი 1 მ., პრიჩეტნიკი ავ. პავლოვი 1 მ., ბლაღ. მღვდელნი შარაბიძე და დეკანოზი მ. მეუნარგია (სხვა პირებთან ერთად) 53 მ. 56 კ., ბლაღ. მღვდელი დ. ქალატოზოვი (სხვა პირებთან ერთად) 11 მ. 70 კ., წინამძღვარნი მონასტრისა: ხობისა და საირისა არხიმანდრიტი ბენიამენი და იგუმენი ი. თანაძმებით 43 მ. 91 კ., ბლაღ. მღვ. დ. ბართამოვი სხვა პირებთან ერთად 9 მ., დეკანოზი მაჭავარიანი 5 მ., მღვ. ი. ბერძენოვი 5 მ., მღვ. ი. ქერესელიძე 5 მ., მღვ. ჩაკირიდი 5 მ., სხვა და სხვა პირთა დეკანოზის მაჭავარიანის და ბლაღოჩინის ნ. ქუბანეიშვილის ხელით 60 მ. 52 კ., ბლაღ. მღვდელი ს. ანჯაფარიძე სხვა პირთან ერთად 24 მ. 50 კ. გარდა ამისა უცნობი შემომწირველისაგან შემოვიდა 200 მ., საურთი-ერთო კრედიტის საზოგადოების სარგებლისაგან მიღებულია 200 მ., თბილისის «კრუჟოკის» სტარშინების რჩევისაგან 16 მ., და სარგებელი თანხისაგან 7 მ. 62 კ., სემინარიის «ძმობის» საეკკლესიო კრუშკისაგან შემოვიდა 71 მ. 3 კ., დააბრუნეს მათზედ სესხად მიცემული ფულები მოწაფეებმა: ურუშაძემ 4 მ. და ზედგენიძემ 8 მ.

ამ სახით ამ საანგარიშო წელში, 30 ნოემბრიდამ 1883 წ. 30 ნოემბრამდე 1884 შემოვიდა ძმობის კასაში ნაღდი ფული 1503 მ. 20 კ. ა) წარსული $188\frac{3}{4}$ ძმობის საანგარიშო წლებისაგან დარჩა ნაღდი ფული 517 მ. 68 კ. ბ) ბანკის ბილეთებით: ერთი ბილეთი მეორე აღმოსავლეთის სესხისა № 273,319 ასი მ. და ბილეთი კავკასიის პრიკაზისა № 1,976 1000 მ. მთლად დანარჩენი ფულებიანად იყო შემოსავალი ამ საანგარიშო წელში: ა) ნაღდი ფული 2020 მ. 88 კ., ბ) ბანკის ბილეთებით 1100 მ.

### გასავალი.

ამ ფულებისაგან ა) სემინარიის შაგირდების შესაწევად დახარჯულია წლის განმავლობაში 831 მ. 50 კ., ბ) კავკასიის მომგებიანი ბილეთის № 2921 საშოვრად დახარჯულია 500 მ. და სრულიად 1331 მ. 50 კ. გასავლის ჯამი რომ გამოვრიცხოთ საზოგადო შემოსავლის ჯამისაგან 30 ნოემბრიდამ 1884 წ. დარჩება: ა) ნაღდი ფული 689 მ. 38 კ., ბ) ბანკის ბილეთები: 1) მომგებიანი ბილეთი მეორე აღმოსავლეთის სესხისა № 273,319 ას მანეთიანი 2) ბილეთი კავკასიის პრიკაზისა № 1976 1000 მ., 3) ბილეთი კავკასიის პრიკაზის № 2951 500 მანათისა. ამასთანავე იდგინება სია იმ მოწაფეეთა, რომელთაც მიუღიათ ანუ დღეს იღებენ შემწეობას «ძმობის» საშუალებათაგან ერთ დროებითად (ფულით ანუ ნივთებით) ან ყოველ თვეში (ფულით 3—6 მანათამდე): ტაბიძე, ამერაღიშვილი, ბაიოზ მაღრაძე, აბესაძე, ა. მომპორია, მენაბდე, ქევხუვი, რაზმაძე, რეხვია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი, ბასილაშვილი, კუხიანიძე, მ. ნუცუბიძე, გვაზავა, გეორგობიანი თომა, მიხანაძე, გორდეზიანი, ყიფშიძე, ლაგიევ, თებზაძე, ტოლაძე, თ. თუთბერიძე, ვასილოვ, ფერაძე ი., ჭირაქაძე ს., ბარახიძე, ციკლერი, ტაბლიევი, ბაგუნოვი ნ., ჭირაქაძე ი., გძელიევი, ნუცუბიძე, კ. ნიორაძე, გეორგობიანი ივ., ფერაძე ლ., მარგალიტაზე, თუთბერიძე გ., დევიძე მელიტონ, ანდრიანოვი, ლუკიანოვი, ბაფრინდაშვილი, კუბლაშვილი, ტატუნოვი, თეოფილაქტოვი, ღვთისავაროვი, ობოლენსკი, პოპოვი ვლად., გეორგაძე ალექ., მთვარელოვი, ბაგუნოვი დ., ფხაველოვი, შავლიევი, შარაძე, ტყეშელაშვილი, ბალდავაძე, იმნაიშვილი, უზნაძე, თინიკოვი, ჩიჯავაძე, დვალი, კობახიძე, კიკვაძე, აბაშიძე, მლბაქიძე და მადუროვი.

ამასთანავე 30 ნოემბრიდამ 1884 წ. 1 მარსამდის 1885 წ. შემოვიდა «ძმობის» კასაში:

1) ჩის მაღალ ყოვლად უსამღვდელოეს პავლეს, საქართველოს ექსარხოსისაგან 100 მ., 2) ყოვლად სამღვდელო გაბრიელ, იმერეთის ეპისკოპოსის ატნოშენიებით, ა) 19 დეკემბრიდამ 1884 წ. № 4914 13 მ. 66 კ. შეკრებილი ბლაღოჩინის მღვდლის ბესარიონ ხუხუნისაგან; ბ) 13 დეკემბრიდამ 1884 წ. № 4847 19 მ. 78 კ. გელათის მონასტრის ძმებთაგან; გ) 9 იანვრიდამ 1885 წ., № 48 16 მ. 24 კ.; დ) 12 იანვრიდამ 1885 წ. № 14 22 მ. 26 კ. ბლაღოჩინის მღვდლის ერმალოზ ვეფხვაძისაგან; ე) 18 თებერვლიდამ 1885 წ., № 875 10 მ. 73 კ. ბლაღოჩინი მღვდლის კალანდარაშვილისაგან; ვ) 2 მარტიდამ 1885 წ. № 1176 27 მ. 79 კ. ბლაღ. მღვდლის ალშიბაიასაგან; ზ) 15 მარტიდამ 1885 წ. № 1402 20 მ. 82 კ. ბლაღ. მღვ, ი. წერეთლისაგან და ჱ) 3 აპრილიდამ 1885 წ. № 1601 9 მ. 82 კ. ბლაღ. მღვ. ნესტორ ყუბანიევისაგან და მთლად 141 მ. 10 კ. (გამოსაგზავნი ფულების გამორიცხვით); 3) მისი მაღალ უსამღვდელოესობის საქართველოის ექსარხოსის კანცელარიის ატნოშენიებით: ა) 17 იანვრიდამ 1885 წ. № 168 11 მ., ბლაღ. მღვდლის ლევან ფილიევის საბლაღოჩინოს მაზრის სამღვდელოებისაგან; ბ) გაზეთის «მწყემსის« რედაქტორის ბლაღოჩინის დ. ღამბაშიძისაგან 8 იანვრიდამ 1885 წ. 26 მ. ჯრუჭის მონასტრის არხიმანდრიტის და ყველა მოძმეთაგან (ეს პირები არიან შემდეგნი: არხიმან. სიმონი 5 მ., ეკონომი მღვდელ-მონოზანი გაბრიელი 10 მ., მღვდელ-მონოზანი იასონი 3 მ., მღვდელ-მონოზანი ანთიმოზი 3 მ., მღვდელ-მონ. ონიფანტე 1 მ. მღვდელ-მონოზანი არსენი 1 მ., მღვდელ-მონოზანი ბენიამენი 1 მ., მღვდელ-მონ. აფანასი 40 კ., მთავარ-დიაკონის სერაფიონისაგან 40 კ., მოხუცებული ბერის მელქისედეკისაგან 40 კ. მორჩილის კონსტანტინესაგან 20 კ., მორჩილის ზაქარიასაგან 20 კ.), 10 მარტიდამ 1885 წ. № 45 14 მ. ბლაღ. მღვ. თ. ასათიანისაგან და 17 მარტიდამ 21 მ.; გ) დიგორის ბლაღ, მღვ. ალექსი გატუევისაგან მისი საბლაღოჩინოის სამღვდელოებისაგან (ეს პირნი არიან შემდეგნი: ბლაღ. მღვ. ალექსი გათუოევი 5 მ., მღვ. გიორგი უნგიაძე 2 მ., მღვ. დავით ალლაძე 2 მ., მღვ. სხირტლაძე 2 მ., მღვ. გოჩორავა 2 მ., მღვ. ლავრენტი წერეთელი 3 მ., სოფლის გელათის მედავითნესაგან 50 კ. გიორგი ივანისძისაგან 50 კ., მედავითნე თ. სარაძისაგან 50 კ., მედავითნე იერემიას ბაჩამოვისაგან 50 კ. და მედავითნის თანამდებობის აღმასრულებელის სტეფანე სერგეევისაგან 50 კ.), 15 დეკემბრიდამ 1884 წ. № 531 18 მ. 50 კ., დ) ბლაღ. მღვ. ნ. მცხვეთაძისაგან 10 იანვრიდამ, 1885 წ. № 3 15 მ. 25 კ. გამოსაგზავნი 15 კ. გამორიცხვით. შემომწირველები არიან შემდეგნი: მღვ. გიორგი ამბრიევი თავისგან და ეკკლესიისაგან 2 მ., მღვ. ი. კავკასიძის და მისი ეკკლესიისაგან 4 მ., მღვ. ზ. გაბრიელოვმა თავის მხრით და თავის ეკკლესიისაგან 2 მ., პატარა მეჯვრის-ხევის მღვდლის და მისი ეკკლესიისაგან 50 კ., მღვ. ბ. ბერიევისაგან 30 კ., მღვ. შიო გლურჯიძის და მისი ეკკლესიისაგან 1 მ., 20 კ., მღვ. ს. ლუკიანოვის და მისი ეკკლესიისაგან 1 მ., მღვ. თ. მღებრიევის და მისი ეკკლესიისაგან 90 კ., დეკანოზი თავდგირიძისაგან 50 კ., მარიამ ცხვეთაძისაგან 40 კ. ელენე ოქროპირიძისაგან 20 კ., მღვ. გრ. მცხვედაძისაგან 40 კ.) 1) ბლაღ. დეკანოზის ს. ბელიევისაგან 9 იანვრიდამ 1885 წ. № 13 26 მ. და ვ) თბილისის კრუჟოკის სტარშინების რჩევისაგან 14 დეკემბრიდამ № 49 44 მ, 30 კ. და მთლად 176 მ., 5 კ. 4) გარეშე კეთილ-მწებლობითი შემომწირველთაგან: სემინარიის ინსპექტორის თანაშემწის დ. დათეშიძისაგან 5 მ., სემინარიის მასწავლებელთაგან: თ. ჟორდანიასაგან 5 მ., გ. ჩეტირკინისაგან 5 მ., ი. ტიხომიროვისაგან 5 მ. და პოდპოლკონიკის უ. სოპიაგინისაგან 15 მ. (საწევრო შემოსატანი ფულები 1885, 1884, და 1883 წლებისა) და მთლად 35 მ.; 5) სემინარიის ეკკლესიის «ძმობის» ყუთისაგან შემოვიდა 32 მ. 58 კ.; 6) მიღებულია: ა) სამი კუპონის აღმოსავლეთის სესხის ბილეთისა 7 მ. 50 კ. და ბ) 150 მ. % ორი პრიკაზის ბილეთისაგან; 7) შემოტანილი იქმნა «ძმობის» კასისაგან სემინარიის

მოწაფეთაგან ნასესხები ფულები: ალექ. ზერსამიასაგან 10 მ. და ს. დათაძისაგან 5 მ. და მთლად 657 მ. 23 კ.

ამფრად 30 ნოემბრიდამ 1884 წ. დარჩენილი ფულებიანად 1 მაისს 1885 წ. «ძმობის» კასაში იყო 1346 მ. 61 კ. ამ ფულებიდამ ამ აღნიშნულ დროის განმავლობაში 30 ნოებრიდამ 1884 წ. სემინარიის მოწაფეების შესაწევნად დახარჯულია ფულად: 539 მ.; მაშასადამე 1 მაისისათვის 1885 წ. რჩება ნაღდი ფული 807 მ. 61 კ. და კრედიტის საზოგადოებათა ბილეთებით 1600 მ.

«ძმობის» კომიტეტის თავს-მჯდომარე რექტორი სემინარიისა, დეკანოზი პავლე ჩუდეცკი.

---

## მართლ-მადიდებელი სასულიერო სასწავლებლების წესდებულება.

(გაგრძელება.)

§ 28. სემინარიის სამმართველო განიხილავს ანგარიშებს სასწავლო-აღზრდითი ნაწილზე, რომლებსაც ყოველ წლობით ადგენენ სასწავლებლების ზედამხედველები, და რევიზორების ანგარიშთა, და თავის დასკვნები თურთ უდგენს ეპარქიის არქიერს.

§ 29- არქიერის წინადადებისა მებრ, სემინარიის სამმართველო ირჩევს რევიზორებს მოსახედავად სასწავლებელთა და მოახსენებს მას (არქიერს) რევიზიათა შედეგებზე.

§ 30. სემინარიის სამმართველოს ყველა დასკვნანი და განჩინებანი, რომლებიც ეხებიან სასწავლო და აღზრდით ნაწილს სასწავლებლებში, მოდიან სისრულეში მათი დამტკიცების შემდეგ ეპარქიის არქიერისგან, გარდა დასკვნათა საგნების შესახებ, რომლებიც მოხსენებულია § 25 და რომელთაც ეპარქიის არქიერი უდგენს დასამტკიცებლად უწმიდესს სინოდს.

### თავი V—სასწავლებლის სამართველოებზე.

§ 31. სასწავლებლის სამმართველოს, ზედამხედველის თავს-მჯდომარეობით, შეადგენენ მისი თანაშემწე, ერთი მასწავლებელთაგანი, ყოვლად სამღვდელოსაგან დანიშნვით, და ორი წევრი სასწავლებლის ოლქის სამღვდელო პირთაგან, რომელნიც (წევრნი) ირჩევიან, § 22 3 მუხლისა მებრ, სამის წლის ვადით და მტკიცდებიან ამ წოდებაში ეპარქიის არქიერის მიერ.

§ 32. განხილვის დროს უფრო მძიმე კითხვათა სასწავლო-აღზრდითი ნაწილზე, სამმართველოს სხდომაზე იპატიჟებიან სასწავლებლის ყველა მასწავლებელნი თანამრჩეველის ხმით.

§ 33. სასწავლებლის სამმართველოს შეკრებილებანი, საჭიროებისა მებრ, ხდებიან არა ორ გზის ნაკლებ თვეში, და უნდა ხდებოდენ სწავლიდგან თავისუფალ დროს.

§ 34. თითოეულს წევრს აქვს უფლება წარადგინოს სამმართველოს განსახილავად საგულობელი აზრები გაუმჯობესობაებზე სასწავლებლის გამგეობის რომელიმე ნაწილის შესახებ.

§ 35. ეს წინადადებანი ურდგინდებიან წერილით, რამდენიმე დღით წინ შეკრებილებამდი, სამმართველოს თავსმჯდომარეს.

§ 36. საქმეები სამართველოში წყდებიან, შეძლებისა მებრ, ერთსული შეთანხმებით: თუ ვინიცობაა, უთანხმოებანი იქმნენ, მაშინ ცალკე ჰაზრები შეიტანებიან წერილით და რდგინდიბიან ყოვლად სამღვდელოს განსახილველად.

§ 37. სასწავლებლის სამმართველოს საგნად თავის მეცადინეობათა აქვს:

1) საქმეები მოსწავლეთა მიღებაზე სასწავლებელში, მათ გადაყვანაზე კლასიდგან კლასში ანუ დატევებაზე იმავე კლასში.

2) განხილვა თვე და თვე მასწავლებელთაგან წარმოდგენილ უწყებათა მოსწავლეთა წარმატებაებზე და ყოფაქცევაზე.

3) საზოგადო სიების შედგენა ეგზამენის შემდეგ.

4) სქმეები მოსწავლეთა შენახვაზე და სადგომზე.

5) საუკეთესო მოსწავლეთათვის ჯილდოების დანიშვნა და ცუდ მოსწავლეთა გამორიცხვა.

6) შოპოება და განხილვა როგორც საზოგადო ზომათა დასაცველად და განსამტკიცებლად კეთილი ზნეობის მოსწავლეთა შორის, აგრეთვე კერძო ზომათა ცალკე შემთხვევებში.

7) გაწკარგულებანი წიგნების შეძენაზე, საკმაორიცხვით, სასწავლებლის წიგნთ-საცავისთვის, აგრეთვე სახელმძღვანელოების და მოსახმარებელ ნივთთა მასწავლებლების და მოსწავლეებისთვის.

1-ს ივნისს. წელიწადი მესამე. 1885 წელსა.

# მწყემსი

№ 11.

ორ-კვირეული გამოცემა. არა ოფიციალური ნაწილი.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად—ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

„მწყემსი“ რუსული დამატებით—ექვსი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.

ნახევარი წლით—ორი მან.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ мѣстечко Квирилы, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

## რედაქციისაგან.

ყველამ კარგად იცის, თუ როგორ გაძნელებულია გაზეთების და სხვა კორესპონდეცეიების მიღების საქმე იმ მაზრებში, სადაც ფოსტები არ არიან. ამისთანა ალაგებში გაზეთების და წერილების გაგზავნა ძლიერ საძნელოა და ამით აიხსნება ზოგიერთი ჩვენი ხელის მომწერლების საჩივარი, რომ მათ გაზეთები თავის დროზე არ მიუდისთ. ამ საჩივრების გამო ჩვენ მივიქეცით მაზრების უმფროსებთან თხოვნით, რომ იგინი დაგვეხმარებოდნენ ამ შემთხვევაში. ზოგიერთი მათგანი, როგორც მაგალითად რაჭის და შორაპნის მაზრების უფროსები დაგვპირდნენ თავის მხრით შემწეობას და ალგვითქვეს, რომ სხვა სახელმწიფო ქაღალდებთან გაზეთებსაც დაურიგებენ ხელის-მომწერლებს სოფლის სასამართლოს კანცელარიებით. ჩვენის მხრით განუცხადებთ გულითად მადლობას ხსენებულ მაზრის უმფროსებს და ვსთხოვთ ხელის-მომწერლებს, რომელნიც მიეარდნილ მაზრებში სცხოვრობენ, რომ მათ შეუძლიათ მიიღონ ხოლმე გაზეთები ამის შემდეგ მაზრის სამმართველოდამ, ან სასოფლო საზოგადოების კანცელარიებიდამ.

ვსთხოვთ, ყველა «მწყემსზე» ხელის მომწერლებს ნომრების დაკლება და მიუღებლობა მალე გვაცნობონ.

ახლად ხელის-მომწერლებს შეუძლიათ მიღება იანვრის თვიდამ ყველა ნომრებისა.

სოფლის მასწავლებლებს «მწყემსი» რუსული დამატებით დაეთმობათ—ხუთ მანეთად და ცალკე—მარტო «მწყემსი»—ოთხ მანეთად.

წარსული წლის «მწყემსის» ნომრები რამდენიმე ეგზემპ. იმექონებიან იანვრის და ფებერვლის თვეების № №-ბის გამორიცხვით. ფასი წარსული წლის «მწყემსის» ნომრებისა—ოთხი მანეთი გაგზავნით.

## ე. მჭედლიძის მკვლელობის გამო.

ძვა მაისს, როგორც წინა ნომერში მოვიხსენიეთ, მოჰკლეს იმერეთის ეპარქიის სეკრეტარის თანამდებობის აღმასრულებელი ე. მჭედლიძე, ახალ-გაზდა კაცი არა მოკლებული ნიჭს და ენერგიას სამსახურისათვის. მკვლელობა, როგორი გვარიც უნდა იყოს და რა მიზნითაც უნდა ჩაიდინონ, ყოველთვის საზიზღარი ყოფილა, არის და იქნება.

სრული იმედია, რომ მართლ-მსაჯულება გამოაშკარავებს ამ საზიზღარ მკვლელობას და დამნაშავეს არ დატოვებს დაუსჯელად. ამაში დარწმუნებული ვართ მიტომ, რომ მკვლელობა შესრულდა თითქმის ცხრა საათზე დღით, ხალხში და გამოჩენილ ქუჩაზე. საზოგადოდ მიღებულია, მიცვალებულზე კარგის მეტი არაფერი ითქვას. მაგრამ, სამწუხაროდ, მარტო კარგის ლაპარაკი საქმეს არ ეხმარება...

შესრულდა მკვლელობა. არ შეიძლება ეს საზიზღარი მკვლელობა უმიზეზოდ მომხდარიყო. ყველას ვალდებულებაა მკვლელობის ნამდვილ მიზეზს მიუთითოს ხელი, გამოიკვლიოს ეს მიზეზები, რომ ამისთანა სამწუხარო მოვლენანი არ განმეორდნენ. ყოველთვის ამისთანა უბედური მოვლენის დროს დაიწყებენ სულელურ, ხეპრულ აზრების გამოთქმას, რომელნიც უმთავრეს საყურადღებო საგანს არ ეხებიან. ბრალს სდებენ უმართლოდ ადგილს, საზოგადოებას და ხალხს, რომელნიც იმდენად დამნაშავენი არიან, რამდენად მე და შენ, მკითხველო, დამნაშავენი ვართ პენდქესთან შეტაკებაში და ავლანელების დამარცხებაში. ერთი ღმერთს ეხვეწება იმ გორის დაქცევას და მიწაში ჩავარდნას, სადაც ეს მკვლელობა მოხდა, მეორე ამ მკვლელობაში ხედავს იმერეთის ხალხის ზნეობითად დამდაბლებას; მესამე სამღვდელოებაში სინიდისის დამცირებას და სხვა კიდევ რას არ ამბობს! რა ბრალი აქვს ამ მკვლელობაში გორას, სამღვდელოებას და იმერლებს! ლადეშკელიანმა ქუთაისში გაგარინი მოჰკლა. რა დამნაშავენი იყვნენ ქუთათურები და სვანები ამ მკვლელობაში?...

როდესაც ხოლერა ანუ სხვა გადამდები სნეულება მუსრავს ხალხს, ექიმები უმთავრეს ყურადღებას მიაქცევენ ხოლმე იმ მიზეზების გამოკვლევას, რომლების წყალობითაც ხოლერა ანუ სხვა გადამდები სნეულება გაჩნდა. როდესაც ამ მიზეზებს გააქრობენ, მაშინ სნეულება თვისით რილდება და ხალხის ხოცვა ისპობა.

ჩვენის აზრით ამ კვლელობაზე წერისა და ლაპარაკის დროს ნამეტანი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზებს. ეს მეორე მკვლელობა მოხდა ამ გორაზე. ამას წინეთ ერთმა პახელმა მეორე პახელი მოჰკლა ქუთაისის სასწავლებელში. მაშინაც მრავალნი ევედრებოდნენ ღმერთს ამ გორის დაქცევას, მაგრამ, ამ მლოცველთა გასაკვირვლად, ეს გორა დღესაც მთლად დაუქცეველი რჩება. მაშინაც ბევრი უშვერი შეწამება და უპატიოსნო მოსაზრებანი წარმოითქვენ იმერლებზე და მათ ზნეობის დაცემაზე, მაგრამ რა გაეწყობა! საზიზღარი ცილის მწამებლები ყოველთვის ყოფილან და იქნებიან...

ჩვენის აზრით, კიდევ გავიმეორებთ, რამდენად საჭირო და სასურველია ამ მკვლელობის ახსნა და ბოროტი მკვლელის დასჯა, იმდენად საჭიროა ამ საზიზღარი მკვლელობის მომხდენი მიზეზების გამოაშკარავება, რომ მეორეზედაც ასცილდეს კაცი ამისთანა უბედურების გაგონებას და ხილვას. მარტო სასტიკი დასჯა მკვლელთა არ მოსპობს სამუდამოთ ამისთანა უბედურებას...

## წერილები პარიჟიდამ.

სხვა-და-სხვა საქრისტიანო ეკკლესიები: რომისა, გალიკანისა, ანგლიკანისა, პრესბითერიანებისა, დამოუკიდებელთა, ბაპტისტებისა, კვაკერებისა, უნიტარებისა, «საქრისტიანო ეკკლესია გერმანელი კათოლიკებისა»

პირველი ჩემი წერილით—«შერიგება აღმოსავლეთის და დასავლეთის ეკკლესიათა»—მეტათ თუ ნაკლებათ გავაცანი «მწყემსის» მკითხველი საზოგადოება, თუ რა განსხვავებაა რომისა და მართლ-მადიდებელი ეკკლესიათა შორის. მაგრამ ყველაფერი არ მითქვამს, მაგალითად განსაწმენდელის შესახებ.

რომის ეკკლესია, რომელიც ეწოდების ყველა დასავლეთის კათოლიკეთა ეკკლესიებს, ფიქრობს, რომ ყველა ბრალდებულნი და ცოდვილნი სულნი ჯოჯოხეთში არ იქნებიან დაპატიმრებულნი, არამედ ზოგიერთი, მცირე დამნაშავენი, პირ-და-პირ შევლიან ესრედ-წოდებულ განსაწმენდელში, საიდამაც ცოტა კენესის და ოხვრის შემდეგ, ცოდვებისაგან განთავისუფლებულნი, განწმენდილნი და განსპეტაკებულნი სამოთხეში შებრძანდებიან. რომ განიხილოთ მთელი ძველი და ახალი აღთქმები, ვერსად სიტყვას ვერ იპოვით ამ კითხვის შესახებ. წმ. ავგუსტინემ ბევრი იბრძოლა ამის წინააღმდეგ, მაგრამ უნაყოფოდ. ზოგიერთ თეოლოლოგებს მოჰყავდათ ამგვარი შენიშვნა: რათ უნდა სჭიროდეს განსაწმენდელი ანუ განწმენდა სულს, რომელიც ძველ აღთქმის გადმოცემით ღვთისაგან იყო შთაბერილი კაცშიო, ნუ თუ ღვთის ნაწილს შეუძლია შესცოდოსო? ყოველ შემთხვევაში განსაწმენდელი ძალიან ოხუნრჯურათაა მოგონილი: არიან სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედებათა აჩრდილ-

ნი, უნდა იყოს ტანჯვათ სხვა-და-სხვა აჩრდილნიც: ამას მოითხოვს სამართალი. ამნაირ წარმოდგენას მოჰყვა შესაბამი შედეგიც: რომის ეკკლესიას სწამს, რომ მას შეუძლია ლოცვით და ვედრებით სრულიად განათავისუფლოს სული განსაწმენდელისაგან, ანუ შეუმსუბუქოს იქ წვალება და ტანჯვა. ეს არის ინდულგენციის (ცოდვათ მიტევების ქაღალდი) მიზეზიც და დასაბამიც. ამ «ცოდვის ქაღალდებს» რომის ეკკლესია წაღმა-უკუღმა, მარცხნით და მარჯვენით, მიმავალს და მომავალს უფასო-ფასად ჰყიდდა. ამ საეკკლესიო საკრედიტო ბილეთების ვაჭრობა ისე გავრცელდა საშუალო საუკუნოებში, ისეთი ზომა და ფორმა მიიღო, რომ უკანასკნელათ უსირცხვილოდ საყდრების კედლებზე აკრავდენ განცხადებათა ამ გვარი შინაარსით: აქ ისყიდება ინდულგენცია, მყიდველს ეპატიება წარსული, აწინდელი და მომავალი ცოდვები. დღეს განათლებულნი კათოლიკეთა მღვდლები ჰკიცხავენ ამ მოვლინებას. დანარჩენი რომის და მართლ-მადიდებელ ეკკლესიებს ყველაფერი ერთნაირი აქვთ: დისციპლინა, იერარხია, ლიტურგია; სახარება და სალოცავი წიგნები საკტიკათ აქვთ დაცული. ამათი საყდარი დილიდამ შუაღამემდე ღია არის; სწირავენ ორჯერ.

კერძოთ გალიკანის ეკკლესიას უწოდებენ საფრანგეთის ეკკლესიას; ეს ეკკლესია არაფრით არ განსხვავდება სხვა კათოლიკეთა ეკკლესიებიდამ თუ არა იმით, რომ მას ჰქონდა მეტათ თუ ნაკლებათ დამოუკიდებელი ისტორიული ცხოვრება, და ისე მონურათ, ვიწროთ არ ემორჩილებოდა პაპს, როგორც, მაგალითად, ისპანიის ეკკლესია.

ანგლიკანის ეკკლესია ჰქვია ინგლისის ოფიციალურ ეკკლესიას. იგი გამოეყო რომისას და შეიქნა დამოუკიდებელი შემდეგი მიზეზისა გამო: ჰენრიხ მე-VIII მოინდომა თავის ცოლის დ. არაგონისაგან გაყრა და ანა ბოლეინის შერთვა; ეს მეშვიდე ცოლი იყო (ორს თავი მოჰკვეთა). პაპმა კლემენტ მე-VII არ მისცა ნება. ხელმწიფემ და პარლამენტმა ინგლისის კათოლიკური ეკკლესია აღიარეს პაპისაგან დამოუკიდებლათ. ედუარდ მე-II მოახდინა სასულიერო კრება, რომელმაც უარყო: მსოფლიო კრების და პაპის დადგინებათა უცოდველობა, წმინდანი, ლოცვა მიცვალებულთათვის, განსაწმენდელი, მღვდლების უცოლობა და შვიდ საიდუმლოთაგანში შეიწყნარეს მხოლოდ ნათელა და ზიარება. მე-VXI საუკუნეში ელისაბედმა ხელ-მეორედ მოახდინა ეპისკოპოზთა კრება, რომელმაც მისცა ანგლიკანურ ეკკლესიას უკანასკნელი ფორმა—ის რომელიც დღეს არსებობს: შეიწყნარა მხოლოდ მოციქულებისა და წმ. ათანასეს სიმბოლი, უარჰყო: განსაწმენდელი, ცოდვათ მიტოვება, წმიდათა უხრწნელი გვამები, წმიდათა და ღვთის-მშობლის მიმართ ვედრება, მღვდლების უცოლობა, პურის განხორციელება და ღვინის განსისხლება, მსხვერპლის შეწირვა; მიიღო ნათვლა, წირვა და ზიარება. ყოველ საქრისტიანო ეკკლესიაზე უფრო მდიდარი ანგლიკანურია: მისი შემოსავალი 200 მილიონ ფრანკს აღემატება. არც ერთს ეკკლესიას ისე სასტიკათ არ აქვს დაცული კვირა, როგორც მას.

პრესბითერიანების ეკკლესია (შოტლანდიაში) ინგლისის რევოლიუციის შემდეგ შეიქნა ოფიციალური. მათ საყდარში არც მუსიკაა, არც გალობა, არც სამსხვერპლო, არც ჯვარი და ხატები, არც ლიტურგიას ხმარობენ; წირვა-ლოცვა საშინელი უფერული და ცივი აქვთ. კვირა დღეს კი ძალიან მოწყენით ატარებენ. ეპისკოპოსი არ ჰყავთ. სამრევლო სასულიერო საქმეებს განაგებს კრება, რომელიც შესდგება მღვდლისაგან და მრევლის მიერ არჩეული ორი ერის კაცისაგან.

დამოუკიდებელ ეკკ. (ინგლისში) არ ჰყავს არც ეპისკოპოსი, არც მღვდელი, საკმაო არის, რომ ერთმა განკერძოებულმა საზოგადოებამ მოიწვიოს ვინმე ერის კაცი, რომელსაც აქვს უფლება და შეუძლია აღასრულოს მღვდლის მაგიერობა.

ბაპტისტების განსაკუთრებითი ხასიათი ის არის, რომ ნათვლენ მხოლოდ ასაკში მოსულ კაცს, რადგანაც ბავშს არ შეუძლია «მრწამსის» თქმა და რადგანაც მის მაგიერათ რწამსის თქმა ნათლიისთვის არავის უნდღერძებია; საჭიროთ რაცხვენ აგრეთვე მოსანათლავის სრულიად წყალში ჩაყურყუმალებას.

«მეგობართა საზოგადოება» ანუ კვაკერები ცნობილნი არიან თვისი ახირებული და ლატაკი ტანისამოსით; ყოველ კაცს «შენ»-ს ეუბნებიან. მღვდელი არაყავთ; იქ არის მათი საყდარი, სადაც შეიკრიბებიან; ყველას შეუძლია ქადაგება და სახარების განმარტება.

უნიტარები, რომელთა რიცხვი ცოტა არის, უარყოფენ სამებას და უმზერენ ი. ქრისტეს, როგორც ზეგარდმო-შთაგონებულ კაცს.

«ქრისტიანო ეკკლესია გერმანელი კათოლიკებისა» დაარსდა გერმანიაში 1844 წელს. ამის მიზეზი იყო შემდეგი გარემოება: ტრევის ეპისკოპოზმა, არნოლდიმ ი. ქრისტეს კვართის გამოფენის ბრძანება გასცა და დაპირდა ყველას ცოდვების მიტევებას, ვინც მას თაყვანს სცემდა. ამის შესახებ სილეზიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდელმა, ივანე რონჯმა პროტესტი განუცხადა და უწოდა ამ მოვლინებას კერპთ თაყვანის-მცემელობა. რონჯის ფეხის ხმას სხვა მღვდლებიც აყვენ და დაარსეს ის ეკკლესია, რომლის შესახებ ჩვენ ვლაპარაკობთ. ეს ეკკლესია უარყოფს ახსარებას, პაპის უფლებას და სამღვდელო იერარხიას. ორი საიდუმლო აქვთ: ზიარება და ნათვლა, საეკკლესიო ორგანიზაცია იმნაირი აქვთ, როგორც პრესბითერიანებს.

დ. ონჭკორელი.

## საისტორიო მასალა.

### წმიდის ნინას სობორო.

(გაგრძელება).

ეს სობორო არის აღშენებული ოცდა მეხუთე საქართველოს მეფის მირიანის ძის ბაქარისაგან 321 წელში. სიგრძე ამ სობოროს აქვს რვა, სიგანე ხუთი და სიმაღლე ხუთ-საჟენ ნახევარი. დასავლეთის მხარეს წინა კედელი არის მწვანეს და შავის ქაშანურის აგურით კუბოთ ნაშენი. ეს სობორო შიგნიდგან არის მოხატული ძველის და ახლი აღთქმის მაგალითებით 1823 წელსა ბოდბელ მიტროპოლიტის იოანესაგან (მაყაშვილი).

კანკელი დღევანდლამდინ სდგას გაჯისა, მოჭრილი ჩინებულად ოქროს ვარაყით. პირველ რიგში ამ კანკელისა ახლად არიან დასვენებულნი ჩინებულად მოხატულნი ხატნი, რომლებიც არიან შემოწირულნი მ. საბინინისაგან.

საეკკლესიო სამკაულთ შორის იპოვებიან შემდეგნი:

1) ზარძმი, ფეშხუმი, ვამარა ანუ ვარსკვლავი ვეცხლისა მძიმედ ოქროში დაფერილნი.

2) ზარძმ-ფეშხუმი ვეცხლისა ოქროს წყალში დაფერილნი.

3) ზარძმ ფეშხუმი ვეცხლისა ოქროს წყალში დაფერილნი, შემოწირულია თავ. მოურავის შვილის ანდრონიკოვისაგან.

4) ზარძმ-ფეშხუმი ვეცხლისა, წონით არიან ორასი მისხალი, შემოწირულია ბოდბელ მიტროპოლიტის ონოფრესაგან.

5) ფეშხუმი ვეცხლისა, შემოწირულია მეფის რძლის ქეთევანისაგან, წონა აქვს 50 მისხალი.

6) კოვზი ვეცხლისა ოქროთი დაფერილი.

7) სამი კოვზი ვეცხლისა.

8) ორი პატარა ვეცხლის კოვზები.

9) ორი განსაზავებელი ვეცხლისა ოქროთი დაფერილნი.

10) ორი სადა ვეცსლის განსაზავებელი.

11) სამი ტაკუკი ვერცხლისა.

12) ლახვარი ვეცხლის ტარიანი, ოქროთი დაფერილი.

13) სასუფევისკვრე თევში ვეცხლისა, ოქროთი მძიმედ დაფერილი.

14) ამავე ღირსების თევში.

15) ამავე ღირსების თევში.

16) ამავე ღირსების თევში.

17) სასუფევისკვრე თევში ვეცხლისა.

18) ამავე ღირსების თევში, წონით ოცდა ცხრა მისხალი, შემოწირულია ისვე მოურავის შვილისაგან.

19) ამავე ღირსების თევში, შემოწირულია ბოდბელ მიტროპოლიტის ქვლომოზისაგან.

20) ამავე ღირსების თევში, შემოწირულია ლევან ხაყვარელიძისაგან 1870 წელში.

21) საზედაშე ჩარექა ვეცხლისა, წონით 88 მისხალი, შემოწირულია მეფის ძის გიორგისაგან.

22) ამავე ღირსების ჩარექა წონით 30 მისხალი, შემოწირულია ისვე მოურავის შვილის ანდრონიკოვისაგან.

23) ამავე ღირსების ჩარექა, წონით 31 მისხალი მისგანვე შემოწირული.

24) ვეცხლის სანაყურე, რომელსაც აქვს ორი ყური ხელის მოსაკიდი სახენი ვეშაპისანი, წონით არის 95½ მისხალი, შემოწირულია ბოდბელ მიტროპოლიტის ონოფრესაგან 1750 წელში.

25) სანაწილე ტრაპეზზედ დასადგმელი ვეცხლისა მძიმედ ოქროთი დაფერილი.

26) ამავე ღირსების სანაწილე მეორე.

27) მესამე სანაწილე ჯვარის სახედ ჩუქურთმით შექმნილი, არის ინდოეთის ხელოვნება, შიგნით ოქროთი დაფერილი, ზევით ასახდელ თავს უზის სარკე, არის შემოწირული მეფის ირაკლის ძის იულონისაგანი 1792 წელში.

28) მეოთხე სანაწილე ვეცხლისა, რომელშიაც არის პატარა ზარძმი ვეცხლისა და კოვზი.

29) ტრაპეზის ჯვარი ვეცხლისა მძიმედ ოქროში დაფერილი, წონით არის 208 მისხალი, შემოწირულია მეფის ირაკლის ძის გიორგისაგან.

30) მეორე ტრაპეზის ჯვარი ვეცხლისა, მძიმედ ოქროში დაფერილი ფინიკებით.

31) მესამე ტრაპეზის ჯვარი ამავე ღირსებისა.

32) მეოთხე ტრაპეზის ჯვარი სევადიანი.

თავად-აზნაურთ შეკრებილება მარშლების ამორჩევების გამო გათავდა. მაზრების მარშლებად ყველა ძველები ამოირჩიეს გარდა ერთისა, რომლის მაგიერად ამოირჩიეს თ. პეტრე ნაკაშიძე. თავმჯდომარედ ამ კრებებზე იყო თ. ალმასხან ნიჟარაძე, რომელიც სწორედ საქებურად ასრულებდა თავის მოვალეობას. გუბერნიის მარშლად ამოირჩიეს ერთხმად ყველასგან კარგად ცნობილი ბ. დიმიტრი ყიფიანი. ამ უკანასკნელმა ამორჩევამ ცხადად დაამტკიცა, რომ მოისპო ის პარტიობა და უთანხმოება თავად-აზნაურთა შორის, რომელიც თითქმის ყველას აწუხებდა. ამ არჩევამ ცხადათ დაამტკიცა, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა თავის თავზე და მომავალ დროზე რიგიანად ფიქრობს; დაარწმუნა ყველა, რომ ჩვენ თავად-აზნაურობას ახსოვს ის ძველი თავად-აზნაურობა, რომელიც საზოგადო საქმეში ერთ სულობას და ერთგულობას იჩენდა. გასაოცარი ის არის, რომ ბ. ყიფიანის არჩევამ ყველას გულში გამოუთქმელი სიხარული დაბადა. ნეტავი იმას, ვისაც ამისთანა სიყვარულობა და პატივი დაუმსახურებია საზოგადოებისა.

**26** მაისს თავად-აზნაურთ სადეპუტატო შესაკრებელ ზალაში მიეგებენ ბ. ყიფიანს მარშლები და თავად-აზნაურობა. აქაც თავადმა ალ. ნიჟარაძემ ბ. ყიფიანს უთხრა მშვენიერი, გრძნობით სავსე სიტყვა. შემდეგ ნიჟარაძისა ა. წერეთელმა წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა, რომელმაც კაი შთაბეჭდილება იქონია ყველაზე. ბ. დ. ყიფიანმა თავისი მხრით მადლობა გამოუცხადა საზოგადოებას და დაჰპირდა მათ, შეძლებისა და გვარად, შრომას, თუმც ის მთავრობისაგან იქნა დამტკიცებული.

***

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდლად «სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის სასწავლებლად, შემოკლებული ძველი და ახალი აღთქმის ისტორია, აღსნით ლოცვები, ათი მცნება და სიმბოლო სარწმუნოებისა და სხვა,» შედგენილი მღვ. ნ. ყუბანეიშვილისაგან. წიგნი ღირს სამ აბაზათ. გარჩევა ამ წიგნისა შემდეგ ნომერში იქნება დაბეჭდილი.

***

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდლად «დაუსრულებელი მაჩვენებელი კვირიაკეთა, აღდგომის სახარებათა და ხმათა,» შედგენილი მღვდლის ნიკოლოზ დიმიტრისძის მაღალდაძისაგან და გამოცემული ექსარხოსის ნება დართვით სინოდალნი კანტორის წევრის არქიმანდრიტის მაკარის საფასით. წიგნი ღირს ერთ აბაზად და შეადგენს ყველა მღვდელთათვის უსაჭიროეს სახელმძღვანელოს. ამ გამოცემის შემოსავალი დანიშნულია თბილისის საქ. ეპარქიალური სასწავლებლისათვის.

## შ ე ს ხ მ ა,

### თქმული სიგელზე თბილისის საქალო გიმნაზიაში საქართველოს ექსარხოსის, არხიეპისკოპოზის პავლესაგან 17-ს ოკტომბერს 1882 წელს.

მოუწოდებ თქვენზედა, შვილებო, ღვთის კურთხევას და სულით და გულით ვისურვებ, რათა თქვენ ცხოვრებაში მიბაძებდეთ სახარებაში მოხსენებულთა კეთილთა ქალთა, რომლებზედაც გითხრათ თქვენ თქვენმა საღმთო სჯულის მასწავლებელმა,—მიმსგავსებოდეთ მათ ცხოვრებით სარწმუნოებით, მტკიცე სასოებით, ღვთისა და მოყვასის მხურვალე სიყვარულობით. გულით ვისურვებ, რომ როგორც სკოლაში, ისე მის გარეშე თქვენ იყვნეთ ჭეშმარიტნი ქრისტიანენი, თქვენი კეთილ-თვისებაებით იმოქმედოთ იმათზედაცა, რომელნიცა არ აღიარებენ ქრისტესა, თქვენი კეთილ-მსახურებით და ჭეშმარიტი ქრისტიანებრივი ურთი ერთის სიყვარულობით აუწყებდეთ დიდებასა ქრისტესა და ქრისტიანობისასა, კეთილ მოქმედებასა ქრისტეს სწავლისა და სჯულისასა ხალხთათვის და მიაჩვიოთ ყველანი ქრისტეს სიყვარულობასა.

შემდეგ არ შემიძლია არ გავიმეორო შესხმის დასასრულ მოყვანილი საღმრთო სჯულის მასწავლებლისაგან გაფრთხილება, რათა თქვენ არ შეადგინოთ უმაღლესი აზრი ქალზე,—მის უფლებაებზე, თვისებაებზე და ღირსებაებზე და არ იფიქროთ სახარებაში მოხსენებულის ქალის მაღალის თვისებაების საფუძვლით, რომ ვითომც ქალი არა თუ თანასწორი არის კაცისა, არამედ მეტიც მაზე. ეს იქნებოდა შეცთომა წინააღმდეგი სახარებისა და ჭეშმარიტებისაცა საზოგადოდ. ბევრში ქალი თანასწორია კაცისა, ზოგიერთ შემთხვევაში,—გულის გრძნობით, სირბილით, სიყვარულით,—ის საზოგადოდ მაღლა სდგას კაცზე და ქრისტიანობამ სარწმუნოების დაცხოვნების შესახებ გაათანასწორა ქალი და კაცი, არ გაარჩია მამრის სქესი და მდედრისა (გალატ. 3 28). მაგრამ სახარებისამებრ კაცი უმაღლესია ქალზე. კაცი უმაღლესია ქალზე მისთვის, რომ უმაღლესი სახარებაში მოხსენებული პირი, უმთავრესი საგანი სახარებისა—უფალი ჩვენი იესო ქრისტე არის კაცი. ნურასფერს ვიტყვით მის ღვთაებრივ ბუნებაზე. კაცობრივ ბუნებითაც ის მიუწდომლად უმაღლესია ყოველთა კაცთაზედა. ის უმაღლესია უსრულეს, უმაღლეს ქალზე,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავად-აზნაურთ შეკრებილება მარშლების ამორჩევების გამო გათავდა. მაზრების მარშლებად ყველა ძველები ამოირჩიეს გარდა ერთისა, რომლის მაგიერად ამოირჩიეს თ. პეტრე ნაკაშიძე. თავმჯდომარედ ამ კრებებზე იყო თ. ალმასხან ნიჟარაძე, რომელიც სწორედ საქებურად ასრულებდა თავის მოვალეობას. გუბერნიის მარშლად აღირჩიეს ერთხმად ყველასგან კარგად ცნობილი ბ. დიმიტრი ყიფიანი. ამ უკანასკნელმა აღრჩევამ ცხადად დაამტკიცა, რომ მოისპო ის პარტიობა და უთანხმოება თავად-აზნაურთა შორის, რომელიც თითქმის ყველას აწუხებდა. ამ არჩევამ ცხადათ დაამტკიცა, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა თავის თავზე და მომავალ დროზე რიგიანად ფიქრობს; დაარწმუნა ყველა, რომ ჩვენ თავად-აზნაურობას ახსოვს ის ძველი თავად-აზნაურობა, რომელიც საზოგადო საქმეში ერთ სულობას და ერთგულობას იჩენდა. გასაოცარი ის არის, რომ ბ. ყიფიანის არჩევამ ყველას გულში გამოუთქმელი სიხარული დაბადა. ნეტავი იმას, ვისაც ამისთანა სიყვარულობა და პატივი დაუმსახურებია საზოგადოებისა.

26 ჩაისს თავად-აზნაურთ სადეპუტატო შესაკრებელ ზალაში მიეგებენ ბ. ყიფიანს მარშლები და თავად-აზნაურობა. აქაც თავადმა ალ. ნიჟარაძემ ბ. ყიფიანს უთხრა მშვენიერი, გრძნობით სავსე სიტყვა. შემდეგ ნიჟარაძისა ა. წერეთელმა წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა, რომელმაც კაი შთაბეჭდილება იქონია ყველაზე. ბ. დ. ყიფიანმა თავისი მხრით მადლობა განუცხადა საზოგადოებას და დაჰპირდა მათ, შეძლებისა და გვარად, შრომას, თუმც ის მთავრობისაგან იქნა დამტკიცებული.

*
* *

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდლად «სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის სასწავლებლად, შემოკლებული ძველი და ახალი აღთქმის ისტორია, აღსნით ლოცვები, ათი მცნება და სიმვოლო სარწმუნოებისა და სხვა,» შედგენილი მღვ. ნ. ყუბანეიშვილისაგან. წიგნი ღირს სამ აბაზათ. გარჩევა ამ წიგნისა შემდეგ ნომერში იქნება დაბეჭდილი.

*
* *

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდლად «დაუსრულებელი მაჩვენებელი კვირიაკეთა, აღდგომის სახარებათა და ხმათა,» შედგენილი მღვდლის ნიკოლოზ დიმიტრისძის მაღალდაძისაგან და გამოცემული ექსარხოსის ნება დართვით სინოდალნი კანტორის წევრის არქიმანდრიტის მაკარის საფასით. წიგნი ღირს ერთ აბაზად და შეადგენს ყველა მღვდელთათვის უსაჭიროეს სახელმძღვანელოს. ამ გამოცემის შემოსავალი დანიშნულია თბილისის საქ. ეპარქიალური სასწავლებლისათვის.

---

## შ ე ს ხ მ ა,

### თქმული სიტყვა თბილისის საქალო გიმნაზიაში საქართველოს ექსარხოსის, არხიეპისკოპოზის პავლესაგან 17-ს ოკტომბერს 1882 წელს.

მოუწოდებ თქვენზედა, შვილებო, ღვთის კურთხევას და სულით და გულით ვისურვებ, რათა თქვენ ცხოვრებაში მიბაძებდეთ სახარებაში მოხსენებულთა კეთილთა ქალთა, რომლებზედაც გითხრათ თქვენ თქვენმა საღმრთო სჯულის მასწავლებელმა,—მიმსგავსებოდეთ მათ ცხოველი სარწმუნოებით, მტკიცე სასოებით, ღვთისა და მოყვასის მხურვალე სიყვარულობით. გულით ვისურვებ, რომ როგორც სკოლაში, ისე მის გარეშე თქვენ იყვნეთ ჭეშმარიტნი ქრისტიანენი, თქვენი კეთილ-თვისებაებით იმოქმედოთ იმათზედაც, რომელნიცა არ აღიარებენ ქრისტესა, თქვენი კეთილ-მსახურებით და ჭეშმარიტი ქრისტიანებრივი ურთი ერთის სიყვარულობით აუწყებდეთ დიდებასა ქრისტესა და ქრისტიანობისასა, კეთილ მოქმედებასა ქრისტეს სწავლისა და სჯულისასა ხალხთათვის და მიაჩვიოთ ყველანი ქრისტეს სიყვარულობასა.

შემდეგ არ შემიძლია არ გავიმეოროთ შესხმის დასასრულ მოყვანილი საღმრთო სჯულის მასწავლებლისაგან გაფრთხილება, რათა თქვენ არ შეადგინოთ უმაღლესი აზრი ქალზე,—მის უფლებაებზე, თვისებაებზე და ღირსებაებზე და არ იფიქროთ სახარებაში მოხსენებულის ქალის მაღალის თვისებაების საფუძვლით, რომ ვითომც ქალი არა თუ თანასწორი არის კაცისა, არამედ მეტიც მაზე. ეს იქნებოდა შეცთომა წინააღმდეგი სახარებისა და ჭეშმარიტებისაცა საზოგადოდ. ბევრში ქალი თანასწორია კაცისა, ზოგიერთ შემთხვევაში,—გულის გრძნობით, სირბილით, სიყვარულით,—ის საზოგადოდ მაღლა სდგას კაცზე და ქრისტიანობამ სარწმუნოების და ცხოვნების შესახებ გაათანასწორა ქალი და კაცი, არ გაარჩია მამრის სქესი და მდედრისა (გალატ. 3 28). მაგრამ სახარებისამებრ კაცი უმაღლესია ქალზე. კაცი უმაღლესია ქალზე მისთვის, რომ უმაღლესი სახარებაში მოხსენებული პირი, უმთავრესი საგანი სახარებისა—უფალი ჩვენი იესო ქრისტე არის კაცი. ნურასფერს ვიტყვით მის ღვთაებრივ ბუნებაზე. კაცობრივ ბუნებითაც ის მიუწდომლად უმაღლესია ყოველთა კაცთაზედა. ის უმაღლესია უსრულეს, უმაღლეს ქალზე,—

თავად-აზნაურთ შეკრებილება მარშლების ამორჩევების გამო გათავდა. მაზრების მარშლებად ყველა ძველები ამოირჩიეს გარდა ერთისა, რომლის მაგიერად ამოირჩიეს თ. პეტრე ნაკაშიძე. თავმჯდომარედ ამ კრებებზე იყო თ. ალმასხან ნიჟარაძე, რომელიც სწორედ საქებურად ასრულებდა თავის მოვალეობას. გუბერნიის მარშლად ალირჩიეს ერთხმად ყველასგან კარგად ცნობილი ბ. დიმიტრი ყიფიანი. ამ უკანასკნელმა ალრჩევამ ცხადად დაამტკიცა, რომ მოისპო ის პარტიობა და უთანხმოება თავად-აზნაურთა შორის, რომელიც თითქმის ყველას აწუხებდა. ამ არჩევამ ცხადათ დაამტკიცა, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა თავის თავზე და მომავალ დროზე რიგიანად ფიქრობს; დაარწმუნა ყველა, რომ ჩვენ თავად-აზნაურობას ახსოვს ის ძველი თავად-აზნაურობა, რომელიც საზოგადო საქმეში ერთ სულობას და ერთგულობას იჩენდა. გასაოცარი ის არის, რომ ბ. ყიფიანის არჩევამ ყველას გულში გამოუთქმელი სიხარული დაბადა. ნეტავი იმას, ვისაც ამისთანა სიყვარულობა და პატივი დაუმსახურებია საზოგადოებისა.

26 ოაისს თავად-აზნაურთ სადეპუტატო შესაკრებელ ზალაში მიეგებენ ბ. ყიფიანს მარშლები და თავად-აზნაურობა. აქაც თავადმა ალ. ნიჟარაძემ ბ. ყიფიანს უთხრა მშვენიერი, გრძნობით სავსე სიტყვა. შემდეგ ნიჟარაძისა ა. წერეთელმა წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა, რომელმაც კაი შთაბეჭდილება იქონია ყველაზე. ბ. დ. ყიფიანმა თავისი მხრით მადლობა განუცხადა საზოგადოებას და დაჰპირდა მათ, შეძლებისა და გვარად, შრომას, თუმც ის მთავრობისაგან იქნა დამტკიცებული.

***

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდლად «სახელმძღვანელო სალმრთო სჯულის სასწავლებლად, შემოკლებული ძველი და ახალი ალთქმის ისტორია, ალსნითლოცვები, ათი მცნება და სიმვოლო სარწმუნოებისა და სხვა,» შედგენილი მღვ. ნ. ყუბანეიშვილისაგან. წიგნი ღირს სამ აბაზათ. გარჩევა ამ წიგნისა შემდეგ ნომერში იქნება დაბეჭდილი.

***

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდლად «დაუსრულებელი მაჩვენებელი კვირიაკეთა, ადგომის სახარებათა და ხმათა,» შედგენილი მღვდლის ნიკოლოზ დიმიტრისძის მალალდაძისაგან და გამოცემული ექსარხოსის ნება დართვით სინოდალნი კანტორის წევრის არქიმანდრიტის მაკარის საფასით. წიგნი ღირს ერთ აბაზად და შეადგენს ყველა მღვდელთათვის უსაჭიროეს სახელმძღვანელოს. ამ გამოცემის შემოსავალი დანიშნულია ტფილისის სას. ეპარქიალური სასწავლებლისათვის.

---

## შ ე ს ხ მ ა,

### თქმული სიტყვები თბილისის საქალო გიმნაზიაში საქართველოს ექსარხოსის, არხიეპისკოპოზის პავლესაგან 17-ს ოკტომბერს 1882 წელსა.

მოუწოდებ თქვენზედა. შვილებო, ღვთის კურთხევას და სულით და გულით ვისურვებ, რათა თქვენ ცხოვრებაში მიბაძებდეთ სახარებაში მოხსენებულთა კეთილთა ქალთა, რომლებზედაც გითხრათ თქვენ თქვენმა სალმთო სჯულის მასწავლებელმა,—მიმსგავსებოდეთ მათ ცხოვრებით სარწმუნოებით, მტკიცე სასოებით, ღვთისა და მოყვასის მხურვალე სიყვარულობით. გულით ვისურვებ, რომ როგორც სკოლაში, ისე მის გარეშე თქვენ იყვნეთ ჭეშმარიტნი ქრისტიანენი, თქვენი კეთილ-თვისებაებით იმოქმედოთ იმათზედაც, რომელნიცა არ აღიარებენ ქრისტესა, თქვენი კეთილ-მსახურებით და ჭეშმარიტი ქრისტიანებრივი ურთიერთის სიყვარულობით აუწყებდეთ დიდებასა ქრისტესა და ქრისტიანობისასა, კეთილ მოქმედებასა ქრისტეს სწავლისა და სჯულისასა ხალხთათვის და მიაჩვიოთ ყველანი ქრისტეს სიყვარულობასა.

შემდეგ არ შემიძლია არ გავიმეოროთ შესხმის დასასრულ მოყვანილი სალმრთო სჯულის მასწავლებლისაგან გაფრთხილება, რათა თქვენ არ შეადგინოთ უმაღლესი აზრი ქალზე,—მის უფლებაებზე, თვისებაებზე და ღირსებაებზე და არ იფიქროთ სახარებაში მოხსენებულის ქალის მაღალის თვისებაების საფუძვლით, რომ ვითომც ქალი არა თუ თანასწორი არის კაცისა, არამედ მეტიც მაზე. ეს იქნებოდა შეცთომა წინააღმდეგი სახარებისა და ჭეშმარიტებისაცა საზოგადოდ. ბევრში ქალი თანასწორია კაცისა, ზოგიერთ შემთხვევაში,—გულის გრძნობით, სირბილით, სიყვარულით,—ის საზოგადოდ მაღლა სდგას კაცზე და ქრისტიანობამ სარწმუნოების და ცხოვნების შესახებ გაათანასწორა ქალი და კაცი, არ გაარჩია მამრის სქესი და მდედრისა (გალატ. 3 28). მაგრამ სახარებისამებრ კაცი უმაღლესია ქალზე. კაცი უმაღლესია ქალზე მისთვის, რომ უმაღლესი სახარებაში მოხსენებული პირი, უმთავრესი საგანი სახარებისა—უფალი ჩვენი იესო ქრისტე არის კაცი. ნურასფერს ვიტყვით მის ღვთაებრივ ბუნებაზე. კაცობრივ ბუნებითაც ის მიუწდომლად უმაღლესია ყოველთა კაცთაზედა. ის უმაღლესია უსრულეს, უმაღლეს ქალზე,—

თავის ყოვლად პატიოსანს დედაზე,—უმაღლესია იმ თვისებაებით, რომლითაც ქალი აღემატება კაცთა—უმაღლესია სიყვარულობით ზეცათა ღვთისა მამისა და კაცთა მხურვალე სიყვარულობით და გრძნობით. ვის შეუძლია შეედაროს სიყვარულობაში იმას, რომელმანც დასდვა სული თვისი ცოდვილთა კაცთა ნათესავისთვის; კაცის უაღრესობა ქალზე, სახარებისა მებრ იხილვების იქიდამაც, რომ კაცობრიული სახით წარმოდგენილი ღმერთი გამოცხადდების კაცის სახით. პირველნი პირნი წმიდისა სამებისა იწოდებიან მამად და ძედ. ხალხისთვის ღმერთი იწოდება მამად მათდა. ქრისტეს იგავში გარყვნილ შვილზე, მამა ზეცათა ღმერთი გამოიხატება მამის სახით და მამა იგავში გამოიხატება აღსავსე იმისთანა სიყვარულითა, რომელზედაც მეტი არ მოიპოვება არც ერთი მოსიყვარულე დედის გულში. აი ესრეთ სახარება მამა კაცს რაცხს უმაღლესად დედა-კაცთაზედა იმისთანა თვისებებითაც, რომლითაც ქალები აღემატებიან მამა-კაცთა, უმაღლესი და უზენაესი სიყვარულობით.

თუ ღმერთ-კაცისაგან და ძის ზეციურ მამისაგან გადავალთ საზოგადოდ სახარების კეთილკაცებზე, მაშინ ისინი გამოგვეცხადებიან ჩვენ უფრო მალე უმაღლესად, ვინემ უმდაბლესად და თითქმის თანასწორად სახარების დედა კაცთა... რასაკვირველია, თუ უკეთესი ქალები, სახარებაში მოხსენებულნი, შევადარეთ ულირს კაცებს, მაშინ ქალები აღმოჩნდებიან უმაღლესად კაცთა. მაგრამ ასე გასინჯვა ფაკთთა იქმნება მიდგომითი. შედარება იქნება მიუდგომელი მაშინ, როდესაც შედარებულნი იქნებიან უკეთესნი ქალნი უკეთეს კაცებთან. ამ შემთხვევაში უპირატესობა არ დარჩება სახარებით ქალსა... სამარიტელი ქალი უმაღლესია სარწმუნოებით ნიკოდიმეზე, იმ ადვილ რწმუნებითა, რომლითაც ირწმუნა ქრისტე; მაგრამ უპირატესი არის სარწმუნოებით კეთილ-გონიერი ავაზაკი! იმან ირწმუნა ქრისტე არა გრძელი საუბრის შემდეგ, არა წინასწარმეტყველური ნიშის გამოყვანის შემდეგ, როგორც ეს მოხდა სამარიტელ ქალთან, არამედ იმ მინუტში, როდესაც მასში, ერთი შეხედვით, ნაკლებად შეიძლებოდა შეტყობა უფლისა, ძისა ღვთისა... ცოლი პილატესი უმაღლესია ულირს თავის ქმარზე; მაგრამ უმაღლესი არ არის რომის ასის თავზე, რომელმანცა ირწმუნა იესო ქრისტე ჯვარზე დამოკიდებული? გასაოცარია სარწმუნოება, სიყვარული თავის ასულისა და სიმდაბლე ქანანელი ქალისა, რომელიც შეწუხებული იყო თავისი ასულის ავათმყოფობის გვემით, ვითარება მაღალია, მაგრამ დედისაგან მოსალოდნელია, რომელიც ამისთანა მდგომარეობაში შთავარდნილია. მაგრამ როდესაც რომის ასისთავი მიუცილებლად სთხოვს ქრისტეს თავის სნეული ჭაბუკის მონის განკურნებას, როდესაც ამპარტავანი რომაელი შერაცხს თავის თავს ულირსად, რომ მის სახლში შევიდეს ქრისტე—ებრაელი, როდესაც იგი ერწმუნება მისი სიტყვის ძლიერებას,—ნუ თუ ეს სიყვარული, ეს სიმდაბლე, ეს სარწმუნოებით უმდაბლესია ქანანელი ქალის სარწმუნოებაზე, სიყვარულზე და სიმდაბლეზე? ყოვლად პატიოსანი, წმიდა, მხურვალეა სიყვარული ქრისტეს და მისი სწავლისადმი მარიამისა—ლაზარეს დისა. მაგრამ ამაზე მეტია სიყვარულობით მოციქული, შეყვარებული მოწაფე ქრისტესი წმიდა იოანნე ღვთის მეტყველი. უმაღლესად მოციქულთა გვეჩვენებიან მენელსაცხებელნი დედანი ჯვარცმის ვნების დროს ქრისტესა... მოწაფეები განითვანტენ და დასტოვეს ქრისტე მარტო, ხოლო მენელ-საცხებელნი დედანი კადნიერად სდგანან ჯვართან, მაგრამ ჯვართან იდგა ერთი კაცი მოციქულთაგანი იოანნე ღვთის მეტყველი... ხოლო იოსებმა ნიკოდიმოსითურთ არ მიხედეს თავის სიცოცხლის შიშს, გარდმოიღეს გვამი უფლისა ჯვარიდგან.

ამასთან დრო იესო ქრისტეს ვნებისა იყო მოციქულთათვის გამოცდისა და უძლურებისა, ხოლო მენელ-საცხებელთათვის—რომელთაგან ზოგს მათგანს ჰქონდათ დრო განსაცდელისა და დაცემისა,—ეს დრო მათთვის იყო მათი ზნეობითად აღმატებისა და უაღრესობისა. დადგა შემდეგ დრო მოციქულთათვის ზნეობრივი დღესასწაულობისა,—და მათ თავისი სისხლითა აღბეჭდეს თავისი სარწმუნოება ქრისტესადმი და თავიანთი სიყვარული მისდამი. ამ დროს ისინი თუმცა არ იდგენ უმაღლესად წმიდათა დედათა—მენელ-საცხებელთა, მაგრამ გაუთანასწორდნენ მათ. საზოგადოდ გაგრძელება დიდი საქმისა ხალხის ცხონებისა ქრისტემ მიამდო უაღრესად კაცთა, წმიდათა მოციქულთა და მათ მოადგილეთა და ვითარი შეუდარებელი დიდება სულისა და სიყვარულობისა გამოიჩინეს მოციქულებრივ სამსახურში მოციქულთა პეტრემ და პავლემ და სხვა მოციქულ-

თაცა!... მათ მოფინეს ხმა სახარებისა მთელს ქვეყანაზე და ყოველ საუკუნეთათვის დაიცვეს და გარდასცეს ეკკლესიას თავისი წმიდანი წერილნი იესო ქრისტეს ჭეშმარიტებაზე; ეს დიდი უაღრესობაა გაცთა.

მიებაძეთ, კვალად ვიმეორებ, სახარების ქალთა კეთილ-მოქმედებით, — სარწმუნოებით, სიყვარულობით, სასოებით, მიჰბაძეთ იმ ქალთა, რომელნიც გიჩვენეთ შესხმაში. მაგრამ მე თქვენ გიჩვენებთ კიდევ ერთ სახარების ქალს, რომელიც დაგვავიწყდა ჩვენ შესხმაში, რომელიც სხვა წმიდათა ქალთა შორის ღირსია მიბაძვისა. ეს ქალია უოვლად წმიდა ქალწული მარიამი,—დედა-ღვთისა გაცისა. ვითარი უსრულესი სიწმინდე, ვითარი სიმშვიდე, ვითარი თავდაჭერილობა სიტყვაში, რა საკვირველი წმიდა კეთილ-გონიერება განასხვავებს მას—უსრულეს ყველა ქალებში!... სიმდაბლისა გამო, ის არა რაცხს თავის-თავს ღირსად დედად უფლისა და შიშით ისმენს ზეციურ მახარებელსა და მხოლოდ დაწვლილებით მოფიქრების შემდეგ ის ერწმუნება კეთილხარებას. არა თვის ზნეობრივ სისრულეში, არამედ თავის სიმდაბლეში ხედავს იგი თავის დიდების საფუძველს,—მოწოდებას დედად უფლისად უოფნისა... ამაღლებულია რა ყველაზე მეტათ ეკკლესიაში, იგი ეკკლესიის მმართვაში, მდაბლად იჭერს თავს აჩრდილში, მიანიჭებს რა მოქმედებას ეკკლესიაში, ნებისამებრ ძისა და ღვთისა თვის მოციქულთა... ხოლო სიყვარული მისი ქრისტიანთა ნათესავთადმი რა მრავალ კეთილ-მოქმედების სახით გამოცხადებულ არს!... აი ყველაზე მეტათ ღირს-მისაბაძავი მაგალითი თქვენთვის, შვილებო. ეს მაგალითი არის უოვლად წმიდა ქალწული მარიამი—უბიწო და უპატიოსნესი, მშვიდი და წყნარი, თავ-დაკავებული სიტყვაში, ფრთხილი, გასაოცარი აღსავსე სიყვარულითა... მიჰბაძეთ მას, მის ღვთაებრივ ძესა—ქრისტესა სიწმიდითა და სიყვარულითა, და თქვენ გაუწევთ დიდ ზნეობრივ მსახურებას თქვენს ოჯახობას, საზოგადოებას, მხარეს, სახელმწიფოს, თქვენ შეიქნებით სანთლად, რომელიც გაუნათებს სხვათა გზასა ზნეობრივ წარმატებაში. მაშინ, მოუძებნელათაც უფლებათა ქალთათა,—თქვენ არ დაუვარდებით მდგომარეობით კაცთა ზნეობრივი თქვენი სისრულით, და თქვენის მხრით ამ უფლებათა მოუძებნელად დაიჭერთ საზოგადოებაში, ყოველ კაცობრიობაში ღირს სათანადო მაღალ ალაგს, რომელიც სრულებით დააკმაყოფილებს ქალს—ქრისტიანსა. ამინ.

---

## რით სცხოვრებს კაცი.

მოთხრობა გრაფი ლ. ტოლსტოისა (რუსულიდგან).

(გაგრძელება).

### III.

მოეწყო სიმონის ცოლი დილას ადრე. შეშა დაჩეხა, წყალი მოიტანა, ბავშებს აჭამა, თვითონ ისაუზმა და ჩაფიქრდა: ჩაფიქრდა იმაზე, თუ როდის გამოაცხოს კიდევ პური. დღეს თუ ხვალ? ერთი დიდი ნატეხი-ღა დარჩა კიდევ.

«თუმც ფიქრობდა იგი, სიმონი იქ ისადილებს და ვახშმათ ბევრს არ შეჭამს, კიდევ ხვალ პური იკმარებს.» ატრიალა, ატრიალა მატრონამ პურის ნატეხი და ფიქრობს: «დღეს პურს არ გამოვაცხობ.» ფქვილიც ერთი პურის მეტის არ არის. პარასკევამდის კიდევ მივაღწევთ. შეინახა მატრონამ პური და დაჯდა სტოლთან ქმრის პერანგის დასაკერავათ. ჰკერავს და ფიქრობს მატრონა ქმარზე, თუ როგორ იყიდის მისი ქმარი ცხვრის ტყავს ქურქისათვის. ნეტა არ მოატყუებდეს მაინც მეტყავე, თორემ ჩემი ქმარი სულ გაუგებარია: თვითონ არავის არ მოატყუებს და მას კი პატარა ყმაწვილიც კი მოატყუებს; რვა მანეთი ცოტა ფული არ არის. შეიძლება კარგი ქურქი იყიდოს კაცმა. შარშან ზამთარში როგორ ვსწვალობდით უქურქოთ! ვერც მდინარეზე მივდიოდით და ვერც სხვაგან. თვით წავიდა ეზოდგან, ჩაიცვა ყველაფერი ტანზე და მე კი არაფერი მაქვს ჩასაცმელი. ადრე არ წასულა. დროა მოვიდეს. ვაი, თუ იქეიფა ჩემმა თვალის სინათლემ.»

ამ ფიქრის დროს მატრონას ესმის, რომ რაღამაც დერეფანში გააჭრიჭინა, სწორეთ ვიღაც შემოვიდა. გაარჭო პერანგში მატრონამ ნემსი და გამოვიდა კარებში; ხედავს შემოვიდნენ სიმონი და ვიღაც გლეხი მასთან უქუდოთ და ნაბდის ჩექმებში.

ერთბაშათ ეცა მატრონას ოტკის სუნი ქმრისაგან ფიქრობს: ისე, როგორც ვფიქრობდით—უქეიფნია.

როგორც შეხედა ქმარს უსაცმოთ მარტო მის მოსასხმელში, არაფერი არ მოაქვს, გაჩუმებულა და ქუშმაშობს, მატრონასაც კინაღამ გული გაუსკდა.

დახარჯა ფულები, ფიქრობდა მატრონა, იქეიფა ვილაცა მგზავრთან და მერმე შინ მოჰყავს!

შეუშვა ისინი მატრონამ ქოხში. შევიდა თვითონ, ხედავს უცხო კაცს ახალ-გაზდას, გამხდარს და თავის ქმრის ტანსაცმელში, პერანგი კი არ სჩანდა გარედამ ჩასაცმელ ქვეშ, ქუდი არ ახურავს. ეს კაცი შევიდა შინ, არ ინძრეოდა და არც თვალებს ახელდა ზევით. ფიქრობს მატრონა: ეს კეთილი კაცი არ უნდა იყოს— რცხვენია.

მოშორდა მატრონა, მივიდა ბუხართან, უყურებს, თუ რას იზმონან ისინი.

მოიხადა სიმონმა ქუდი და დაჯდა ალალ მართლად.

— რაღას უყურებ მატრონა, მოგვიტანე ვახშამი.

ჩაიბუტბუტა ცხვირის წინ რაღაცა მატრონამ. დადგა ფეხის ახლოს და მიჩერებია მათ, ხან ერთს შეხედავს და ხან მეორეს და თავს აქნევს. ხედავს სიმონი, რომ დედა-კაცი თავის ხასიათზე არ არის, რა უნდა ექნა, თითქო ვერც კი ამჩნევს მას, მოჰკიდებს ხელს ამ უცხო კაცს და ეუბნება:

— დაჯექი, ძმაო, ვახშამი ვსჭამოთ.

დაჯდა მგზავრი სკამზედ.

— რა ჰქენი მატრონა, არაფერი მოგიხარშავს?

მატრონას გული მოუვიდა.

— მოვხარშე, მაგრამ შენთვის კი არა, შენ, ვგონებ, ჰკუაც ჩაგიტანებია სმაში. წახვედი ტყავის სასყიდლად და რაც გეცვა, ისიც აღარ გაქვს და თან ვიღაც მაწანწალა ტიტველი კაციც მოიყვანე. თქვენისთანა ლოთებისათვის მე ვახშამი არა მაქვს.

— კმარა, მატრონა, ამდენი ტყვილა უბრალოთ ენის ტიკტიკი? შენ იკითხე ჯერ, ეს რა კაცია?

— შენ ეს მითხარი, ფულები რა უყავი?

ჩაიყო სიმონმა ჯიბეში ხელი, ამოიღო ქაღალდი და გახსნა.

— აი ფულები, ტრიფონმა კი არ მომცა, ხვალისათვის შემპირდა.

კიდევ უმფრო გაჯავრდა მატრონა, ტყავი არ უყიდია და თავის ტანსაცმელიც სხვისთვინ ჩაუცმევია და შინ მოუყვანა.

აიღო სტოლიდგან ქაღალდი და წაიღო შესანახავათ, თან ამბობს:

— არა, არა მაქვს მე ვახშამი, ყველა ტიტველ ლოთებს ვინ გააძღებს.

— მატრონა, გააჩერე ენა, ჯერ გაიგე, რას ამბობენ...

— თუ გისმინე, ჰკუასაც ვისწავლი შენისთანა სულელისაგან. ტყვილა კი არ ვამბობდი უარს შენ ცოლობაზე: დედამ ტილო მომცა, შენ გაჰყიდე და შეჭამე ფულები—წადი ტყავის სასყიდლად—იმის ფულებიც დახარჯე. სიმონა ცდილობს გააგებინოს ცოლს, რომ იმას ერთი აბაზის მეტი არაფერი შეუჭამია, სურს გააგებინოს, სად და როგორც ნახა მან ეს ტიტველი კაცი, მაგრამ მატრონა სიტყვის თქმის ნებას არ აძლევს. რაც ათი წლის წინეთ მომხდარა, ისიც კი გაიხსენა.

ილაპარაკა, ილაპარაკა მატრონამ, შემდეგ წამოდგა ზეზე, მივარდა სიმონას და წაავლო კლავში ხელი.

— მომეცი მალე ჩემი მოსასხმელი. მე ერთი მქონდა კიდევ და ისიც შენ გამხადე და თვითონ ჩაიცვი, მომეცი აქ, შე ნაგაზო.

აიხადა სიმონმა მოსახურავი და გადუგდო. მატრონამ ხელი მოჰკიდა, მოიხურა და კარებისაკენ წავიდა, მაგრამ სურდა მაინც შეეტყო ამ უცხო კაცის ვინაობა.

თეოდ. ხუსკივაძე.

## ნამდვილი ქრისტიანული ცხოვრება.

(რუსულიდგან ნათარგმნი.)

ამ შორეულს და მივარდნილს მაღრაში, რომელიც მდებარეობდა ვოგეზების მთებ შუა, ობერლეინმა შემოიღო ბევრი ისეთი სასარგებლო დაწესებულებანი კაცის ცხოვრების გასაუმჯობესებლად, რომლებიც მაშინ თვით მდიდარ ქვეყნებშიაც არ არსებობდნენ. ობერლეინმა დააფუძნა გამსესხებელ-შემნახველი კასა იმ პირობით, რომ კასის ყოველ წევრს თავის შვილი უსათუოდ სკოლაში უნდა მიეცა, თორემ ისე კასაში წევრად არავის იღებდა. ამ კასიდგან ფულს აძლევდნენ უგიროოდ და უსარგებლოდ, რითაც ნელ-ნელა მოსპო ობერლეინმა უკიდურესი სიღარიბე კლდოვანი მაზრის მცხოვრებთა. რომ განათლება დაემკვიდრებია თავის სამრევლოში და მასთან გაევრცელებია, ობერლეინმა შემოიღო მოძრავი წიგნთ-საცავები, რომელთაც დრო და დრო ხსნიდა სხვა-და-სხვა სოფლებში და ყოველ პირს აძლევდა საშუალებას წიგნი ეშოვა, წაეკითხა და თავის გონებისთვის საზრდო მიეწო-

დებია. ერთი სიტყვით პირველი აზრი იმ მოძრავი ბიბლიოტეკებისა, რომლებიც ეხლა ათასობით არსებობენ ინგლისში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეკუთვნის ობერლეინს.

მთელი თავის სიცოცხლე ობერლეინმა შესწირა თავის მრევლის განათლების საქმეს. ის იყო თავის მრევლის ყოველივე ბედნიერების მიზეზი, მანუგეშებელი მწუხარების დროს. თუ ვისმე ერთმანეთში განხეთქილება მოუხდებოდა, ობერლეინი იყო მათი შუამავალი და შემრიგებელი. თავისი დაუღალავი კეთილ-მოქმედებით მან დაიმსახურა ისეთი პატივი და სიყვარული თავის მრევლისა, რომ მასს ყველანი ემორჩილებოდნენ, როგორც მამას. მან დაიფლო თავის მრევლის გული და იყო მათში ძლიერი სჯულის მდებელი. აი ერთი გასაკვირველი მაგალითი მისი ძლიერებისა: როცა საფრანგეთში ქაღალდის ფულმა ყოველივე ფასი დაჰკარგა, ბევრი დაღარიბდნენ და გაჭირვებაში ჩაცვივდნენ; ამ დროს ობერლეინმა თავისი განმავლობით შეაკავა ცოტა ხნობით ქაღალდის ფულის ფასი ამ კლდოვან მაზრაში. ობერლეინს არა სურდა, რომ ამ ქაღალდის ფულის ფასის დაწევით ზოგიერთებს ეზარალათ, არამედ მას სურდა, რომ ეს ზარალი ყველას გაენაწილებია და ამიტომ დაადგინა, რომ ქაღალდის ფულს ყოველ ერთ ხელიდამ მეორე ხელში გადასვლის დროს მოჰკლებოდა ფასი ათი სანტიმით.

მთელი სამრევლოს მცხოვრებნი ობერლეინში ხედავდნენ თავიანთ მამას და კეთილის მყოფელს. მრევლი მას ეძახოდა მამას. როცა დიდის ჯაფისაგან ობერლეინი მოხუცდა და აღარ შეეძლო მთებზე მოგზაურობა და სოფლებში სიარული, მაშინ გლეხები შეაჯენდნენ ხოლმე მას ცხენზე და დაჰყავდათ სოფლებში მოძღვარი, რომლისთვისაც რომელიმე სოფელში შესვლა და ხალხის სწავლება შეადგენდა დიდ სიხარულს.

ობერლეინმა იცოცხლა ოთხმოცდა ექვსი (86) წელი და უკანასკნელ დღემდე შერჩა მას ყოველივე მისი სულის ძალანი, თუმც დასუსტებული სხეული აღარ ემორჩილებოდა მასს.

1826 წელს, პირველს ივნის, დილის ექვს საათზე უკანასკნელად შეევედრა ღმერთს თავის სამწყსოს წარმატებაზე და შემდეგ ამ კლდოვანი მაზრის პატრიარქმა დაიძინა საუკუნოდ. საზოგადო მწუხარებით და ვაებით გააცილა ის თავისმა მრევლმა სასაფლაომდე. მას მრევლმა დაუდგა ძეგლი, რომელიც გააკეთა შესანიშნავმა მხატვარმა. ამ ძეგლის მნახველს ნათლად წარმოუდგება სახეში ამ დიდი მოძღვრის მშვიდი ხასიათი, მაგრამ კლდოვანი მაზრის მცხოვრებნი უძეგლოთაცარ დაივიწყებენ არას დროს ძან ობერლეინს.

აი როგორ ძლიერ და სასიკეთოდ მოქმედებდა მრევლზე ობერლეინის ნამდვილი მაღალი ქრისტიანული ცხოვრება! ამ მაზრის ერთი თექვსმეტი წლის ქალი, ლუიზა შეპლერი, რომელსაც თუმც შეძლება ჰქონდა, რომ ისეც ეცხოვრა, შევიდა მოსამსახურეთ ობერლეინთან. მას ობერლეინისაგან არ მიუღია არავითარი სასყიდელი თავის შრომისთვის, მხოლოდ ორმოცდა ათი წლის განმავლობაში იყო მხურვალე აღმასრულებელი ობერლეინის ყოველივე კეთილის მიმართულების და მოძღვრის სიკვდილის შემდეგ ეს ქალი იყო ამ კლდოვანი მაზრის მცხოვრებთათვის ობერლეინის მაგიერი. ამ ლუიზა შეპლერის სახელი, თუმცა მას დიდი რამ თანამდებობა არა ჰქონდა საზოგადოებაში, მაგრამ მისი სახელი დარჩება საუკუნოდ ისტორიაში. ერთი მისი საქმე მეტად საყურადღებოა მის ცხოვრებაში. აი ეს საქმე: ლუიზა შეპლერმა დაინახა, რომ, როცა მშობლები სამუშაოდ დადიოდნენ მინდვრებში, ბავშები რჩებოდნენ სახლში მიუხედავად, ამიტომ მან დაარსა ისეთი სახლები, სადაც ბავშები იყრიდენ თავსა და თან ჰყავდათ ყურის მგდებელი და მასწავლებელი. ეს სასარგებლო დაწესებულება მალე გავრცელდა მთელს ევროპაში.

# ნარევი

## თქმულებანი სოლომონ ბრძენზე.

დიდი ხანი არ არის, რაც გამოვიდა მოკლე თხზულება პროფესორის ბოგოროდსკისა «დაბადების-გარე სოლომონზე.»

სოლომონ ბრძენი გახდა თითქმის ყველა ხალხების თქმულობათა საგნად. მოსლემანთა თქმულობებში განსაკუთრებით საინტერესონი არიან „სამჯავრონი სოლომონისა.“ აი რამდენიმე მათგანი: როდესაც ის ჯერ კიდევ ცამეტი წლის იყო, მოვიდნენ მამა მის დავითთან სამართლის გასარჩენად სამი მოდავე ისეთი საქმის შესახებ, რომელმაც განცვიფრებაში მოიყვანა ყველა დამსწრენი და თვით დავითიც შეაფიქრა. მომჩივანს ეყიდნია მოპასუხისაგან მიწა და, როდესაც ის სარდაფს სთხრიდა, უპოვია განძი. მომჩივანი მოპასუხეს აძლევდა წაეღო ეს განძი თვითონ, რადგან მას (მომჩივანს) ყიდვის დროს ამ მიწაში განძი არ ეგულებოდა. მოპასუხე კი უარს ამბობდა

განძის დაპატრონებაზე, რადგან მან არ იცოდა რა მაზე და გაყიდა მიწა ყველაფრითურთ, რაც კი მასში იყო. უჩვეულობა საქმისა მდგომარეობდა მასში, რომ დაობდენ არა ორი ანგარების მოყვარე კაცი, არამედ ორი სულგრძელი, რომელთაგანაც თითოეულს უნდოდა გამოეჩინებია მეორისთვის უფრო მცირე გულ-კეთილობა. დავითმა გარდასწყვიტა გაეყოთ განძი შუაზედ, მაგრამ სოლომონმა, როდესაც შეიტყო, რომ მოპასუხეს ვაჟი ჰყავს და მოსარჩელეს ქალიო,—ურჩია მათ შვილების ქორწინებით შეერთება და მათდამი მიცემა განძისა. მეორე ჯერ მოვიდა სოლომონთან ორი მოდავე, მაგრამ მან ვერ აღმოაჩინა გამამტყუნებელი საბუთი დამნაშავის წინაალმდეგ. მაშინ მან დააყენა ორივე ფარდას უკან, ბრძანა მათთვის გაეხადათ ფეხსაცმელნი და ფეხები გამოეწყოთ ფარდას გარეთ. შემდეგ მან უთხრა თავის ჯალათს: ,,მოსჭერი ფეხი ამ დამნაშავესო!“ დამნაშავე შეკრთა და ფეხი შეიკეცა, მართალი კი მოსვენებით იჯდა ბოლომდის. როდესაც საბის დედოფალმა, აგრეთვე სახელგანთქმულმა თავის სიბრძნით, მოინდომა გამოეცადა სიბრძნე სოლომონისა და გამოუგზავნა მას ერთნაირად ჩაცმული პატარა ვაჟები და ქალები, მაშინ სოლომონმა, ქალების ვაჟთაგან გასარჩევად, მოატანია წყალი და უბრძანა მათ პირი დაებანათ. მათი მიხვრა-მოხვრით გამოიცნო სოლომონმა, ვინ ქალი იყო და ვინ ვაჟი: ,,ყრმათა დაიწყეს პირის ბანა, განმარტებს სლავიანური მოთხრობა, მაგრად და მკვირცხლად, ხოლო ქალთა რბილად და სუსტად.“ მეორე ჯერ დედოფალმა სთხოვა მას აევსო თასი წყლით, რომელიც არ უნდა ყოფილიყო არც ღრუბელთაგან და არც მიწიდგან. სოლომონმა შეაჯინა მსხვილი მონა ფიცხს ცხენზედ და უბრძანა ეჭენებია ის, სანამ მას (ცხენს) ოფლი არ წამოუვიდოდა ნაკადულივით. აი ამ ოფლით გაავსო სოლომონმა თასი. ბოლონდელს გარდმოცემებს, შენიშნავს ავტორი,—გაზვიადება ემჩნევაო,—თითქო სოლომონი თავს იქცევსო თავის სიბრძნით. ერთხელ სოლომონს მოუნდა გამოეცადა მამა-კაცის და დედაკაცის სული. მან მოიხმო ერთი ვეზირი შესაცდენად და შეპირდა მრავალ წყალობას, უბრძანა მას თავი მოეჭრა თავის ცოლისათვის, რის ასასრულებლად ხმალიც ხელში მისცა; ვეზირი კინაღამ შესცდა; მაგრამ როდესაც დაინახა მძინარე ცოლი შვილები თურთ, შეებრალა იგი და არ აასრულა მეფის სურვილი. მაშინ სოლომონმა ამგვარივე წინადადება მისცა მის ცოლს, მაგრამ სიფრთხილისთვის მისცა მას ხის ხმალი, რომელიც სრულიად ნამდვილს ჰგავდა. ცოლი მიეპარა მძინარე ქმარს და დაუწყო კისრის ხერხა ამ ხმლით. ვეზირმა გამოიღვიძა და ჰკითხა, ეს რაამბავიაო. ცოლი გამოუტყდა მას ყველაფერში, ქმარმა გასინჯა ხმალი ხელით, გაუკვირდა მეფის სიბრძნე და ცოლს აპატივა დანაშაული. როდესაც სოლომონმა შეიტყო ეს, წარმოსთქვა შემდეგი შესანიშნავი სიტყვები: ,,ვპოვე ათასში მამაკაცი ბრძენი, ხოლო ათი ათასში ვერ ვპოვე ვერც ერთი დედაკაცი გონიერი.“

---

# შეწირულებანი.

ბლაღოჩინმა მღვდელმა მამა სიმონ ელიავამ წარმოადგინა ჩვენთან ოცდა ერთი მანეთი შესაწევნელად თბილისის სემინარიის ღარიბთა მოსწავლეთა რწმუნებულ მისდამო საბლაღოჩინოში მობოჭილი.

ეს ფულები შეგროვილა შემდეგ პირთაგან:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1) | ბლაღ. მღვ. სიმონ ელიავასაგან | , . | 2 მან. |
| 2) | მღვდლის თევდორე ხოშტარიასაგან | - | 1 — |
| 3) | — ბესარიონ გვაზავასაგან | . . | 1 — |
| 4) | — ნიკოლოზ ჩიქოვანისაგან | . | 1 — |
| 5) | — კოსტანტინე თოფურიძისაგან | | 1 — |
| 6) | — დიმიტრი კაჭარავასაგან | . | 1 — |
| 7) | — სტეფანე კაჭარავასაგან | . | 1 — |
| 8) | — ათანასი თოფურიასაგან | . | 1 — |
| 9) | — სიმონ ნოდიასაგან | . . | 1 — |
| 10) | — პეტრე მატკაფასაგან | . . | 1 — |
| 11) | — ეფრემ ხოშტარიასაგან | . . | 1 — |
| 12) | — იოანე საბაშვილისაგან | . . | 1 — |
| 13) | — ანტონ ცინცაძისაგან | . . | 1 — |
| 14) | — ბესარიონ ჩაგანავასაგან | . | 1 — |
| 15) | — იოანე ქოიავასაგან | . . | 1 — |
| 16) | — გიორგი ქოიავასაგან | . . | 1 — |
| 17) | — თევდორე შომახიძისაგან | . | 1 — |
| 18) | — თომა ხოშტარიასაგან | . . | 1 — |
| 19) | — ეგნატე კაჭახიძისაგან | . . | 1 — |
| 20) | — იოანე დავითიძისაგან | . . | 1 — |
| | სრულიად | , , | 21 მანეთი. |

---

შინაარსი: ოფიც. ნაწილი: თბილისის სემინარიის ღარიბ შაგირდთა დამხმარე «ძმობის» ანგარიში.—მართლ-მადიდებელი სასულიერო სასწავლებლის ახალი წესდება, გაგრძელება.—არა ოფიც. ნაწილი: რედაქციისაგან.—ე. მჭედლიძის მკვლელობის გამო.—წერილები პარიჟიდამ.—საისტორიო მასალა.—მატიანე.—რით ცხოვრებს კაცი.—ნამდვილი ქრისტიანული ცხოვრება.—ნარევი.—შეწირულებანი.

*Доз. цензурою Кутаисъ, Мая 30 1885 г.* რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.